ხელშეკრულება N9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი **10 თებერვალი 2021წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“, სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, შპს ნიუსიტი (231285365), წარმოდგენილი დირექტორის ლევან ფეიქრიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სხვადასხვა სამშენებლო მასალების და სამეურნეო საქონლის შესყიდვა თანდართული ინვოისის შესაბამისად.

1.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

1.3 შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრის დაცვით.

1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი:

31310000 - ქსელური როზეტები, 31320000 - დენის გამანაწილებელი კაბელები, 44110000 - სამშენებლო მასალები, 44530000 - დამჭერები, 44410000 - ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის, 31651000 - საიზოლაციო ლენტი, 39136000 - ტანსაცმლის საკიდები 39144000 - აბაზანის ავეჯი, 44334000 - პროფილები, 14522300 - ზუმფარა, 31224100 - შტეფსელები და ჩანგლები, 31224700 - გამანაწილებელი (შემაერთებელი) კოლოფები, 39141100 - თაროები, 39299300 - მინის სარკეები, 44111700 - ფილები, 44112200 - იატაკის საფარი, 44812200 - ზეთისა და წყლის საღებავები, 44221200 - კარები, 44411100 - ონკანები, 44411300 - პირსაბანი ნიჟარები, 24951120 - სილიკონის საპოხი, 31524120 - ჭერის სანათი, 39224210 - საღებავი ფუნჯები, 44111510 - საიზოლაციო მასალები, 44531510 - ჭანჭიკები და ხრახნები, 44212510 - კუთხეები, 44411710 - უნიტაზები, 44221211 - კარის ჩარჩოები.

1.5 დაფინანსების წყარო _ 2021 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 2 (ორი) დღე.

3.2. მიწოდების ადგილი ქ. თელავი, დავითაშვილის ქ N4.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

4.2. `შემსყიდველი~ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს `მიმწოდებელს~ წუნის შესახებ.

4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.

4.4. `მიმწოდებელი~ ვალდებულია გადასცეს `შემსყიდველს~ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ~შემსყიდველი~ და `მიმწოდებელი~ მოქმედებენ `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, `შემსყიდველს~ უფლება აქვს `მიმწოდებლის~ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2696.50 (ორიათას ექვსას ოთხმოცდა თექვსმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარს.

6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გათვალისწინებით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. საქონლის ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული საქონლის სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2021 წლის 01 აპრილამდე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოს მიწოდების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებას 2.2 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02% პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. იმ შემთხვევაში თუ თანხა სრულად ანაზღაურებულია მიმწოდებელს დაეკისროს ზარალის ანაზღაურება სრულად.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

11.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ისოდენობით.

11.7 ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შეუსრულებისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება დარჩენილი ვალდებულის ღირებულების 10%-ისოდენობით.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

12.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი ასევე ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის
პროფესიული სახელელმწიფო
დრამატული თეატრი
მის: ქ. თელავი, ერეკლე II
მოედანი N7
ს.კ. 231169641

სამხატვრო ხელმძღვანელი
პაატა გულიაშვილი

„შემსყიდველი“ ----------

Paata Guliashvili
Digitally signed by Paata Guliashvili
Date: 2021.02.10 17:23:44 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს ნიუსიტი
ს.კ. 231285365
მის: ქ. თელავი, დავითაშვილის ქ №4
ბანკი: სს თიბისი ბანკი
ა/ა ა GE02TB0986536020100004
ტელ: 593 353 108
natali_1978.78@mail.ru

დირექტორის მინდობილი პირი

„მიმწოდებელი“ ----------